,,მთავარი არხის'' პოზიცია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში მამუკა ტუსკაძის მიერ შემოტანილ საჩივარზე

არ ვეთანხმებით განმცხადებლის მოსაზრებას, რომ ამა წლის 9 ივნისის სადავოდ გამხდარი სიუჟეტით ,,მთავარმა არხის'' ჟურნალისტმა, ნინო გიგაურმა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მე-3, მე-5 , მე-7 და მე-11 პრინციპები დაარღვია.

<u>ქარტიის პირველი პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი:</u>

ქარტიის 1-ლი პრინციპის მიხედვით, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ფრაზაში „პატივი სცეს სიმართლეს" ნაგულისხმევია, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს შესაძლებლობის ფარგლებში, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, „პატივისცემა" გამოიხატება სიმართლის დასადგენად ჟურნალისტის მიერ გაწეულ ძალისხმევაში.

ქარტიის პრინციპთა განმარტების მიხედვით, საიმისოდ, რომ ქარტიის პირველი პრინციპი დაცულად ჩაითვალოს, ჟურნალისტი უნდა ეცადოს ბოლომდე გადაამოწმოს ფაქტები, რათა უზრუნველყოს ზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნება. ზუსტ ინფორმაციად, შეთანხმების თანახმად, მიიჩნევა ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია.

სადავოდ გამხდარი 9 ივნისის სიუჟეტი მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია მასში მოთხრობილი სავარაუდო დანაშაულის ხასიათით, მეორე მხრივ, კი- ამ დანაშაულში ბრალდებულის საჯარო სტატუსით.

სიუჟეტი შეეხებოდა ქონების მითვისების სავარაუდო ფაქტზე მიმდინარე სასამართლო დავას, რომლის ერთ-ერთი ფიგურანტიც ქარტიაში შემოტანილი საჩივრის ავტორი მამუკა ტუსკაძეა. ტუსკაძე ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ'' კანონის მიზნებისთვის საჯარო პირს წარმოადგენს, ვისკენაც მისი აქტიური საჯარო-პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე, მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. ტუსკაძე პოლიტიკური მოძრაობა ,,სოციალური სამართლიანობისთვის'' თავმჯდომარეა. მოძრაობამ 2020 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

არხის რესპონდენტთა თქმით, მათ საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ იმ თაღლითური სქემის განხორციელებაში, რომელსაც ისინი ტუსკაძეს ედავებიან, მონაწილეობდნენ სახელმწიფო უწყების, საჯარო რეესტრის წარმომადგენლებიც. საჯარო მოხელეთა სავარაუდო ჩართულობა კიდევ უფრო მეტად ზრდის საზოგადოების ინტერესს საკითხისადმი. გარდა ამისა, რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს ბრალდებების შესაძლო ნეგატიურ ზეგავლენას საინვესტიციო გარემოზე საქართველოში, სავარაუდოა, რომ ამ კორუფციული სქემების გამო საქართველო ნაკლებად მიმზიდველ საინვესტიციო გარემოდ იქცეს უცხოელებისთვის.

ვინაიდან სიუჟეტი შეეხებოდა მიმდინარე სასამართლო დავას, ბუნებრივად მოხდა მაყურებლის ინფორმირება დავის საგანზე, ტუსკაძისადმი წარდგენილ ბრალდებებსა და იმ ძირითად არგუმენტებზე, რომლებსაც მხარეები აყრდნობდნენ თავიანთ პოზიციებს. სიუჟეტში დაბალანსებულადაა წარმოდგენილი დავის მონაწილე ორივე მხარის პოზიცია. ინფორმაცია, რომელიც მიეწოდა მაყურებელს, გადამოწმებულია არაერთ წყაროსთან. 4 რესპონდენტი მაინცაა ჩაწერილი, ვინც ანალოგიური ხასიათის სამართალდარღვევას ედავება საჩივრის ავტორს, ტუსკაძეს. სამი ერთსა და იმავე სახლს უკავშირდება და იდენტურია, მე-4 რესპონდენტი სასტუმროს მითვისების მცდელობაზე საუბრობს, თუმცა სავარაუდო სქემა ამ შემთხვევაშიც იგივეა.

სასამართლოსგან განსხვავებით, სიუჟეტი ნამდვილად არ ისახავდა მიზნად სრულმაშტაბიანი გამოძიების ჩატარებას და სიმართლის დადგენას საკითხზე, მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლის ინფორმირება იყო დავის შინაარსისა და მოდავე მხარეების თაობაზე. სიუჟეტის დროში შეზღუდულობიდან და მაყურებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ბუნებრივად მხარეთა მიერ მოწოდებული ყველა მტკიცებულების ანალიზი და მაყურებლისთვის წარდგენა ვერ მოხდებოდა, გაჟღერდა მხოლოდ ძირითადი არგუმენტები და პოზიციები, აგრეთვე, მტკიცებულებები, რომლებიც ყველაზე საკვანძოდ მიიჩნია ჟურნალისტმა.

საჩივრის ავტორის თქმით, ინვესტორს თანხები საერთოდ არ დაუხარჯავს მიმდინარე მშენებლობაში, რაც მას ცრუ ინვესტორად აქცევდა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები მას ჟურნალისტისთვის არ წარუდგენია. თავად საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ იქნა მხოლოდ 2012 წლის ამნისტიის აქტი, რომლის ძალითაც იგი პოლიტპატიმრად იქნა ცნობილი. აღნიშნული ინფორმაცია მოხვდა-კიდეც ეთერში. ამას გარდა, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტები რომელის ნათელს მოჰფენდა მნიშვნელოვან და ახალ გარემოებას საქმისთვის, ისეთ გარემოებას, რაც მაყურებლისთვის უნდა გამხდარიყო ცნობილი.

ბრალდების ადრესატისთვის საკმარისი დრო იყო დათმობილი, რათა მას საშუალება ჰქონოდა დაეცვა თავი გაჟღერებული ბრალდებებისგან და მისი პოზიცია წარმოეჩინა საკითხზე. შესაბამისად, ვფიქრობთ დაბალანსებულად გაშუქდა საკითხი.

<u>მე-3 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი:</u> ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

საჩივრის ავტორი საკუთარ განაცხადში მე-3 პრინციპის მცდარ ინტერპრეტაციას ახდენს. საიმისოდ, რომ პრინციპის მოთხოვნები შესრულდეს, არ არის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სიუჟეტში გაჟღერდება, წერილობითი ფორმით წარედგინოს მაყურებელს. ქარტიის პრინციპთა განმარტების მიხედვით, ფრაზაში "წყარო დადასტურებულია" ნაგულისხმევია, რომ ჟურნალისტმა იცის ვინ არის ამა თუ იმ ფაქტის წყარო. ყველა ის ბრალდება, რომელიც ტუსკაძის მისამართით გაჟღერდა სიუჟეტში, გამოითქვა იდენტიფიცირებადი პირის მიერ. მაყურებლისთვის ნათელია თუ ვინ არიან ბრალდების ავტორები და რა ურთიერთობა ჰქონდათ მათ ბრალდებების ადრესატთან. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ სიუჟეტში დოკუმენტური მასალა საერთოდ არაა ნაჩვენები, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. სინამდვილეში ნაჩვენები იქნა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ირანელმა ინვესტორმა 27 856 ლარი გადაიხადა სამშენებლო მასალებისთვის ჯერ კიდევ 2013 წელს. ეს ნამდვილად მნიშვნლოვანი გარემოება იყო დავისთვის, ვინაიდან დასტურდება, რომ ინვესტორს მართლაც ჰქონდა დაბანდებული თანხა და არ ყოფილა ცრუ ინვესტორი, როგორც ამას ტუსკაძე აცხადებდა. გარდა იმ მასალებისა, რაც ეთერში მოხვდა, მოდავე მხარემ რამდენიმე სხვა დოკუმენტიც წარუდგინა ჟურნალისტს, თუმცა ბუნებრივია ეთერში ყველა დოკუმენტი ვერ მოხვდებოდა.

<u>მე-5 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი</u>

ქარტიის მე-5 პრინციპის მიხედვით, მედია ვალდებულია შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ქარტიის მიერ დადგენილი სტანდარტით, ინფორმაცია უნდა იყოს არსებითად არაზუსტი, რათა მისი შესწორების ვალდებულება ჰქონდეს მაუწყებელს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიუჟეტი მოუთხრობდა მაყურებელს მიმდინარე სასამართლო დავაზე. სიუჟეტი მხოლოდ მოდავე მხარეთა პოზიციებს წარმოაჩენს, ჟურნალისტი კი- იმ ეპიზოდებში სადაც თავად საუბრობს, აჯამებს მხარეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. განაცხადის ავტორს არც სიუჟეტის ეთერში გასვლის დროისთვის და არც მას შემდგომ არ წარმოუდგენია არხისთვის რაიმე მნიშვნელოვანი

ინფორმაცია, რომელიც არსებითად ეჭვქვეშ დააყენებდა სიუჟეტში მოთხრობილ ამბავს, ან რაიმე მნიშვნელოვან ახალ ინფორმაციას მიაწვდიდა მაყურებელს. შესაბამისად, სადავო საკითხისადმი ეთერის ხელახლა არ-დათმობით, არც ჟურნალისტის და არც მაუწყებლის მხრიდან არ დარღვეულა ქარტიის მე-5 პრინციპი.

<u>მე-7 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი-</u> დისკრიმინაციის აკრძალვა.

დისკრიმინაციულია გულისხმობს ისეთ მოპყრობას ან პირობების შექმნას, რომელიც პირს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. საჩივრის ავტორს საკუთარ განაცხადში არ მიუთითებია თუ რა ნიშნით ხდება მისი დისკრიმინაცია, ვინ არიან შესადარებელი სუბიექტები და რაში გამოიხატება არათანასწორი მოპყრობა მის მიმართ.

თავად სიუჟეტში არ გაჟღერებულა რაიმე დისკრიმინაციული შინაარსის განცხადება, არც ჟურნალისტს და არც მის რესპონდენტებს არ წაუხალისებიათ რომელიმე ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, ამ ჯგუფის თუ კონკრეტული ინდივიდის სტიგმატიზაცია. გაუგებარია, რა არგუმენტს ემყარება მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას.